სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/100

ქ. თბილისი 14 08 2020 წ.

სტუ-ში 2020 წლის შემოდგომზე ორგანიზებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით ტესტირების ჩატარების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა 2020 წლის პროფესიული ტესტირების ვადების განსაზღვრის თაობაზე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტების, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 10 ივლისის N589808 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სტუ-ში 2020 წლის საშემოდგომო მიღებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა (იხ. დანართი);

2. სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის ტესტირება ჩატარდეს 2020 წლის 17 აგვისტო 13:00 საათიდან 17:00 საათამდე და 18 აგვისტოს 11:00 საათიდან 14:00 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი);
3. ტესტირება ჩატარდეს აპლიკანტების მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელი);
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი

დავით გურგენიძე

სტუ-ში 2020 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. ეკატერინე ნარეშელაშვილი - სწავლების დეპარტამენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თამარ კობერიძე - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (კომისიის წევრი);
3. თამუნა მახარაშვილი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი (კომისიის წევრი);
4. გულნარა ალოევა - ,,სამკერვალო წარმოების'' პროგრამის პედაგოგი (კომისიის წევრი);
5. გიური კაპანაძე - ,,ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება'' პროგრამის პედაგოგი (კომისიის წევრი);
6. თეა ბარამაშვილი - „ ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები'' პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
7. რამაზ ტყელამაძე - ,,ხის მხატვრული დამუშავება'' პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);